# ინსპექტირების ანგარიში
# (ექსპერტიზისდასკვნა)

**დამკვეთის იდენტიფიკაცია:**

**ინსპექტირების სფერო:** **ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება**

**ინსპექტირების ამოცანა:** ქალაქი თბილისი, კერესელიძის ქ. №17 ს.კ. 01.15.02.040.013 -ის ზაზა ტყეშელაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მომიჯნავე შენობებზე გავლენის ინსპექტირება

**თბილისი**

**2023 წელი**




## შემადგენლობა


1. ინსპექტირების შემსრულებელები . . . . . 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები . . . . . 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები . . . . . 3
4. გამოყენებული ხელსაწყოები . . . . . 4
5. კვლევითი ნაწილი . . . . . 5
6. დასკვნა . . . . . 15
7. დანართი 1 . . . . . 16

## ინსპექტირების შემსრულებლები

*ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირებაჳარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.*

ინსპექტორები:

*დემური ტაბატაძე* _____




.

## წარმოდგენილი დოკუმენტაცია

1. ქალაქი თბილისი, კერესელიძის ქ. №17ს.კ. 01.15.02.040.013 -ის ზაზა ტყეშელაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში ,მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის პროექტი;
2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
3. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები;
4. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა;
5. სიტუაციური ნახაზი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2);
2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3);
3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №71);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - შენობა-ნაგებობების ფუძეები (დანართი 4)

– სამშენებლო კლიმატოლოგია (დანართი5);

4. MEP-TP-G04.1– ინსპექტირებისმეთოდები და პროცედურები.

## გამოყენებული ხელსაწყოები

– Nikon D3100 ციფრული ფოტოაპარატი, ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია 27.01.2023წ;

– ლაზერული მანძილმზომი ობიექტის ზომების, ფართისა და მოცულობის აზომვა (დაკალიბრების თარიღი 27.01.2023წ.GE/MI/01-02737-22, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო);

## კვლევითი ნაწილი

6. **ინსპექტირების მიზანია**: ქალაქი თბილისი, კერესელიძის ქ. №17ს.კ. 01.15.02.040.013 - ის ზაზა ტყეშელაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში „; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მომიჯნავე შენობებზეგავლენისინსპექტირება(სურათი 1).






სურათი 1. საპროექტო ტერიტორია და მომიჯნავე შენობები (საკადასტრო რუკა)

საპროექტო ტერიტორია და მომიჯნავე შენობები (საკადასტრო რუკა)საპროექტო შენობას 20 მეტრის რადიუსში ემიჯნება საცხოვრებელი შენობა(ს.კ.01.15.02.040.014), (ს.კ.01.15.02.040.011), (ს.კ.01.15.02.040.007), (ს.კ.01.15.02.040.010), (ს.კ.01.15.02.040.002), კერესალიძის ქუჩა.



საპროექტოშენობისფასადები

**პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად** არქიტექტურული პროექტის სამშენებლო ტერიტორია გამოირჩევა დახრილი რელიეფით შენობის 0.00 ნიშნულიშეესაბამება 473.60 აბოლიტურნიშნულს მ-ის ფარგლებში.

საპროექტო შენობა წარმოადგენს ჩარჩოკავშირებიან მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებს. ძირითადი შენობა გეგმაში მარტივი მოხაზულობისაა. შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები ღერძებშია 16.55X17.19 მეტრი. ა. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ სამშენებლოდ გამოყოფილი მოედანი 8 ბალიან

ზონაშია. ქარის ნორმატიული დაწოლა 480 პა. თოვლის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა 500 .

გამომდინარე საინჟინრო გეოლოგიური კვლევებიდან, შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან და აგრეთვე სამშენებლო მოედანზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შენობის საძირკლად მიღებულია მთლიანი საძირკვლის ფილა, საძირკვლის ფილა სისქით 50სმ. საძირკველში გამოყენებული ბეტონის კლასია B-25(სილფატმდგრადის W6) გამოყენებული არმატურის კლასი გრძივ და განივ მიმართულებაზე A500C.

. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხ. საინჟინრო გეოლოგიურ კვლევაში. საძირკვლის ფილის ქვემოთ სრულდება არსებული გრუტის დატკეპნა, ეწყობა 20 სმიანი ხრეშის ფენა და 10 სმ-იანი სისქის მჭლე ბეტონის ფენა.

. მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე და მის ირგვლივ არ აღინიშნება საშიში გეოლოგიური პროცესები და მათი ჩასახვა არც მომავალშია მოსალოდნელი, იგი იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში;

შენობა შედგება ხუთი სართულისგან რომელიც წინა ფაასადის მხრიდან ტერასულად ვითარდება სიმაღლეში. შენობას სარდაფის სართული არ გააჩნი საცხოვრებელი სართული სრულად მიწის ზემოთ მდებარეობს.

.შენობის საერთო სიმაღლე 0.00 ნიშნულიდან შეადგენს 15.1 მ. შენობის მაქსიმალური ზომები გეგმაში ღერძებში არის 16.55X17.19 მეტრი. სართულების სიმაღლეები: მიწისქვეშა ნაწილში სართულის სიმაღლე შეადგენს 3.0 მეტრს. ნული ნიშნულის ზევით სართულების სიმაღლე 3.0 მეტრია შენობის პარკინგის სართულზე შესვლა ხორციელდება შესაბამისი დონეებიდან, , კიბის უჯრედი.. და ლიფტით

**შენობის დაფუძნების პირობები.**

. **უბნის ამგებ გრუნტებში**, სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოიყოფა ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილში, სამშენებლო თვისებების მიხედვით

ერთი სგე:

3. I სგე გრუნტი (ფენა 2) –თიხნარი, ძნელპლასტიკური კონსისტენციის, კენჭოვან-ხვინჭკოვანი შემცველობით. $P=1.85$გ/სმ$^3$; $C=0.25$; $\varphi=18°$; $E=190$კგძ/სმ$^2$; $Ro=2.0$კგძ/სმ$^2$;

იგი რეკომენდებულია ფუძის გრუნტებად, საძირკვლის ტიპი – მთლიანი საძირკვლის ფილა სისქით 50სმ

5. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის

მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა თიხური გრუნტებისთვის მიიღება 1:0,5 ანუ 63°, ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით

**უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური** სურათიდან და დასაპროექტებელი კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე,საძირკვლების ფუძე-გრუნტებად გამოყენებული იქნება I სბშ-სგრუნტი (ფენა 2). საძირკვლის ტიპად გამოყენებულია მთლიანი მთლიანი საძირკვლის ფილა.

**რელიეფიდან გამომდინარე** მოწყობილია საყრდენი კედლები. საყრდენი კედელი №1 №2 და №3.

**შენობის სისტემის კონსტრუქციული გადაწყვეტა.**

კონსტრუქციული სქემის გადაწყვეტის მიხედვით შენობა მიეკუთვნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სივრცულ სისტემას სიხისტის ბირთვებითა და სიხისტის დიაფრაგმებით,

**მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლი** – შენობის საძირკლად მიღებულია მთლიანი საძირკვლის ფილა, საძირკვლის ფილა სისქით 50სმ. საძირკველში გამოყენებული ბეტონის კლასია B-25(სილფატმდგრადის W6) გამოყენებული არმატურის კლასი გრძივ და განივ მიმართულებაზე A500C.

**მონოლითური რკინაბეტონის სვეტები** – შენობის სვეტების განივკვეთის ზომები ცვალებადია ისინი მორგებულნი არიან შენობის არქიტექტურულ გეგმარებას და მცირდებიან შენობის სიმაღლის მიხედვით. სვეტის კვეთია 40.0X40.0, 40X89, 40X115 და 40X165. სმ სვეტებში გამოყენებული ბეტონის კლასია B-25. გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500C.

**მონოლითური რკინაბეტონის შემომზღუდი კედლები, დიაფრაგმები და ბირთვი** – პერიმეტრის შემომზღუდავი კედლები სიხისტის ბირთვის კედლები 30 სმ და 20 სმ სისქისაა. მონოლითურ კედლებში და სიხისტის ბირთვის კედლებში გამოყენებული ბეტონის კლასია B25. გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500C.

**მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილები, რიგელები და კიბის მარშ-ბაქნები** – შენობის სახურავი და ყველა სართულშუა გადახურვა წარმოადგენს წიბოვან ფილას წიბოები განივიკვეთით 40.0X50.0 სმ, 20.0X50 სმ, ფილის სისქის ჩათვლით. მონოლითური რკინაბეტონისაა აგრეთვე კიბის მარშ-

ბაქნებიც.. რკინაბეტონის მონოლითური სართულშორისი გადახურვები სისქით h=20.0სმ. მონოლიური რკინაბეტონის კიბის პანდუსები სისქითh=20.0 კედლებში გამოყენებული ბეტონის კლასია B25. გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500C. .

რელიეფიდან გამომდინარე მოწყობილია ფილები ტერასისებურად. საყრდენი კედლები

პირობით 0,000 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, (-0.1მ)არქიტექტურული ნახაზების მიხედვით.შენობის სართულების დამაკავშირებელი კონსტრუქცია არის შენობის ბირთვში განთავსებული კიბის უჯრედი და მექანიკური ამწე საშუალება – ლიფტი.

**რელიეფიდან გამომდინარე** მოწყობილია საყრდენი კედლები. საყრდენი კედელი №1 №2 საყალიბე ნახაზების მიხედვით შედეგი ზომებით:

კედელი №1: კედლის კვეთი 2.1X0.2 (hX b);2.1X0.3 (hX b);

შენობის რკინაბეტონის ელემენტებში გამოყენებულია არმატურა A240 Ø8 მმ დიამეტრით, A500c – Ø10, Ø12 ,Ø18 Ø20 მმ დიამეტრით. ბეტონი კლასით: ბეტონის მომზადებისათვის B7.5, მიწის ქვეშ და შეხებაში მყოფ კონსტრუქციულ ელემენტებში B25W4, ხოლო დანარჩენი კონსტრუქციებისათვის B25.

**კარკასის შევსება** –წვრილისამშენებლობლოკისწყობით.არმატურისბადით, რომელიცდამაგრებულიასვეტებთან ყოველი სამი რიგის შემდეგ (600მმ). გათვალისწინებულია მჭიდრომიმაგრებაგადახურვისფილასთან .გარე და შიდა კედლების და ტიხრებისთავზეზღუდარებიმონოლითურირკინაბეტონის,სიმაღლით 200მმ.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომსამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში S-64 სკალის მიხედვით ( A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II(სურათი 3; 4).




THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE LTD
405329078




სურ. 3. საპროექტო ტერიტორიასურ. 4. საპროექტო ტერიტორია

**საპროექტო შენობის მომიჯნავედ მდებარე შენობები.**

7. **მომიჯნავე შენობა:**საკადასტრო რუკის მიხედვით განვიხილოთ **საპროექტო**შენობის მომიჯნავემრავალსართულიანი ს.კ. 01.15.02.040.002 -ის შენობა;

(სურათი 5; 6).





სურ. 5. საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობა ს.კ. 01.15.02.040.002 \

შენობა შედგება ხუთი მიწისზედა სართულისგან. გეგმაზე რთული სწორკუთხა მოხაზულობით,.საპროექტოშენობიდან დაშორებულია 3.5მეტრით,შენობის მზიდ კონსტრუქციულ სისტემას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, დიაფრაგმები, კოჭები დაგადახურვის ფილები.

**უბნის გეოლოგიურ-ლითოლოგიური** სურათიდან და ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე,საძირკვლების ფუძე-გრუნტებად გამოყენებული იქნება I სბმ-სგრუნტი (ფენა 2). საძირკვლის ტიპად გამოყენებულია მთლიანი საძირკვლის ფილა სისქით 50სმ. რელიეფიდან გამომდინარე მოწყობილია საყრდენი კედლები, საყრდენი კედელი №1 №2 და №3.

**შენობის სისტემის კონსტრუქციული გადაწყვეტა.**

კონსტრუქციული სქემის გადაწყვეტის მიხედვით შენობა მიეკუთვნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სივრცულ სისტემას სიხისტის ბირთვებითა და სიხისტის დიაფრაგმებით,

**მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლი** – საძირკვლის ფილა სისქით 50სმ. საძირკველში გამოყენებული ბეტონის კლასია B-25(სილფატმდგრადის W6) გამოყენებული არმატურის კლასი გრძივ და განივ მიმართულებაზე A500C.

**მონოლითური რკინაბეტონის სვეტები** – შენობის სვეტების განივკვეთის ზომები ცვალებადია ისინი მორგებულნი არიან შენობის არქიტექტურულ გეგმარებას და მცირდებიან შენობის სიმაღლის მიხედვით. სვეტის კვეთია 40.0X40.0, 40X89, 40X115 და 40X165. სმ სვეტებში გამოყენებული ბეტონის კლასია B-25. გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500C.

**მონოლითური რკინაბეტონის შემომზღუდი კედლები, დიაფრაგმები და ბირთვი** – პერიმეტრის შემომზღუდავი კედლები სიხისტის ბირთვის კედლები 30 სმ და 20 სმ სისქისაა. მონოლითურ კედლებში და სიხისტის ბირთვის კედლებში გამოყენებული ბეტონის კლასია B25. გამოყენებული არმატურის კლასი გრძივი და განივი მიმართულებებზე A500C.

ვიზუალური დათვალიერებით, საპროექტო შენობის მომიჯნავედ განლაგებულიმრავალბინიან შენობას არ გააჩნია ჯდენითი დეფორმაციის ნიშნები, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენენ შენობის მდგრადობაზე. შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

**მომიჯნავე შენობა:**საკადასტრო რუკის მიხედვითგანვიხილოთ საპროექტოშენობის მომიჯნავესართულიანი საცხოვრებელი სახლი ს.კ. 01.15.02.040.014 და ს.კ. 01.15.02.040.011



. საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობა ს.კ. 01.15.02.040.014



საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობა ს.კ. 01.15.02.040.011

ორ სართულიანია,შენობა უსარდაფო კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდკედლიანია, მშენებლობის პრექტიკაში შენობათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, გამოსაკვლევი შენობა საშენ მასალათა მიმართებაში კაპიტალურობის თვალსაზრისით პირველჯგუფს ეკუთვნის. საძირკველი ლენტური, კედლები აგურის წყობისაა-ცემენტ-ქვიშის ხსნარზე, სიგანით 0.90, 0.50 მ-ი. სასხვენო და სართულთშორისი გადახურვები ხის მართკუთხედის კვეთის კოჭებზეა მოწყობილი. კარების და ფანჯრის ზღუდარები სოლისებრი და თაღური აგურის წყობით არის კონსტრუირებული.

კონსტრუქციულ სქემას, მის კონფიგურაციას გეგმაში თუ განვიხილავთ მთავარი ღერძების მიმართ, დაგეგმარების მიხედვით, შენობა მთავარი ღერძების მიმართ არ არის სიმეტრიული.

. შენობის მზიდი კონსტრუქციების განლაგება მთავარი ღერძების მიმართ არასიმეტრიულია, ამიტომ სეისმომედეგობის თვალსაზრისით შენობის გეგმარების გადაწყვეტა შეიძლება ჩაითვალოს არარეგულარულად.

გამოსაკვლევ შენობას, ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე, აქვს 3.0 მ-ის სიგანის, ღია ლოჯიახის აივანი სართულთშორისი და სახურავის გრძივ კოჭთან დაკავშირებულია ∅0.25 მ-ის განივკვეთის ხის სვეტებით, რომელთა შორის მანძილი 2.0 მ-ია.. შენობა თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით საცხოვრებელს წარმოადგენს,

შენობის სართულების საცხოვრებელი ოთახების სიმაღლე -იატაკიდან ჭერამდე, 3.10--მ-ია. კედლების სიგანე, 038, მ-ი. შენობაში სართულთშორისი გადახურვის კონსტრუქცია ხის მართკუთხა კვეთის კოჭების გამოყენებითარის კონსტრუირებული, მათი გეომეტრიული ზომები 0.23X0.15 მ-ის ტოლია. სასხვენო გადახურვები ხის კოჭების გამოყენებით არის მოწყობილი. სახურავის ბურული ლითონის ფურცლებით არის განხორციელებული, ნივნივების განივკვეთი 0.8X0.16 მ-ია, ნივნივების ბიჯი დაკეხის სიმაღლე 3.30,1.2 მ-ია, შესაბამისად.

შენობა არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, ის მიერთებულია ქალაქის საკანალიზაციო, სასმელი წყლის და ელექტრო ქსლებს. იგი ამჟამად ფუნქციონირებს.

შენობის ვიზუალური კვლევის შედეგად დადგინდა: შენობის მზიდ კონსტრუქციებში და მათ შეერთების კვანძების ვიზუალური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ: ნორმატიული დოკუმენტის СП-13-102-2003 (“შენობების და

ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები") მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს **როგორც შეზღუდული მუშა მდგომარეობაში მყოფი კატეგორია -ეს არის შენობა-ნაგებობის ან მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა, რომელსაც აქვს დეფექტები და დაზიანებები, რაც იწვევს ზიდვის უნარის გარკვეულ შემცირებას, მაგრამ არ არსებობს საშიშროება უეცარი ნგრევის, შენობის ფუნქციონირებისათვის საჭიროა განხორციელდეს მის მზიდი კონსტრუქციებზე დაკვირვება, ექსპლუატაციის ხანგრძლივობის და პირობების გათვალისწინებით.(IV – ტექნიკური კატეგორია)..**

**მომიჯნავე ნაკვეთი(ს** ს.კ. 01.15.02.040.007 )დაშორება საპროექტო საკადასტრო ხაზამდე 8.0 მეტრი განთავსებულია ერთსართულიანი ფარდულის ტიპის შენობები ისინი გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა და კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდკედლიანია, მშენებლობის პრექტიკაში შენობათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, გამოსაკვლევი შენობა საშენ მასალათა მიმართებაში კაპიტალურობის თვალსაზრისით პირველჯგუფს ეკუთვნის. საძირკველი ლენტური, კედლები აგურის წყობისაა-ცემენტ-ქვიშის ხსნარზე, სიგანით 0.30, 0.380 მ-ი. სასხვენო გადახურვები ხის მართკუთხედის კვეთის კოჭებზეა მოწყობილი



საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობა ს.კ. 01.15.02.040.007

**მომიჯნავე ნაკვეთი** ს.კ. 01.15.02.040.010 )დაშორება საპროექტო საკადასტრო ხაზამდე 15 მეტრი განთავსებულია ორსართულიანი შენობა შენობა უსარდაფო კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდკედლიანია, მშენებლობის პრექტიკაში შენობათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, გამოსაკვლევი შენობა საშენ

მასალათა მიმართებაში კაპიტალურობის თვალსაზრისით პირველჯგუფს ეკუთვნის. საძირკველი ლენტური, კედლები აგურის წყობისაა-ცემენტ-ქვიშის ხსნარზე, სიგანით 0380, 0.25 მ-ი. სასხვენო და სართულთშორისი გადახურვები ხის მართკუთხედის კვეთის კოჭებზეა მოწყობილი. კარების და ფანჯრის ზღუდარები სოლისებრი და თაღური აგურის წყობით არის კონსტრუირებული

გამოსაკვლევ შენობას, ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე, აქვს 3.0 მ-ის სიგანის, ღია ლოჯიახის აივანი სართულთშორისი და სახურავის გრძივ კოჭთან დაკავშირებულია ∅0.25 მ-ის განივკვეთის ხის სვეტებით, რომელთა შორის მანძილი 2.0 მ-ია.. შენობა თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით საცხოვრებელს წარმოადგენს,

შენობის სართულების საცხოვრებელი ოთახების სიმაღლე -იატაკიდან ჭერამდე, 3.10--მ-ია. კედლების სიგანე, 038, მ-ი. შენობაში სართულთშორისი გადახურვის კონსტრუქცია ხის მართკუთხა კვეთის კოჭების გამოყენებითარის კონსტრუირებული, მათი გეომეტრიული ზომები 0.23X0.15 მ-ის ტოლია. სასხვენო გადახურვები ხის კოჭების გამოყენებით არის მოწყობილი. სახურავის ბურული ლითონის ფურცლებით არის განხორციელებული, ნივნივების განივკვეთი 0.8X0.16 მ-ია, ნივნივების ბიჯი დაკეხის სიმაღლე 3.30,1.2 მ-ია, შესაბამისად.

შენობა არ გააჩნია ანტისეისმური სარტყელი, ის მიერთებულია ქალაქის საკანალიზაციო, სასმელი წყლის და ელექტრო ქსლებს. იგი ამჟამად

ფუნქციონირებს.



საპროექტო შენობის მომიჯნავე შენობა ს.კ. 01.15.02.040.010

**მომიჯნავე ქუჩა:**კერესელიძის ქუჩა,უახლოესი დაცილება, საპროექტო შენობამდე 6.0 მეტრი.




სამშენებლო ტერიტორიის მომიჯნავე ქუჩა.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს: დადგენილ იქნეს თუ რა მანძილით უნდა იყოს დაცილებული საპროექტო შენობის საძირკველი არსებული შენობის საძირკვლიდან, რათა შენარჩუნებული იქნეს ამ უკანასკნელის მდგრადობა.




ნახ. 1. ჩაღრმავება არსებულ საძირკველთან
1. არსებული საძირკველი; 2. - ასაგები საძირკველი)

საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობისსაძირკვლის ძირის ნიშნული უნდა დაინიშნოს არსებული საძირკვლის ძირის ნიშნულის მიმართ შემდეგი პირობით (იხ. [1]-ის ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ დანართი2, მუხლი10, ფორმულა (4)):

$$\Delta h \le a\left( tg\varphi_1 + \frac{C_I}{p} \right),$$




სადაც: $a$ – საძირკვლებს შორის მანძილია; $\varphi_1$ და $C_I$ – ფუძე-გრუნტების შიგა ხახუნის კუთხისა და შეჭიდულობის ძალის საანგარიშო მნიშვნელობებია; $p$ – ზედა საძირკვლის ძირზე საშუალო საანგარიშო დატვირთაა. $\varphi_1 = 22 \quad C_I = 0.28$ , $p$ =2.25.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა მიეკუთვნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიან სივრცულ სისტემას სიხისტის ბირთვებითა და სიხისტის დიაფრაგმებით,

ქალაქი თბილისი, კერესელიძის ქ. №17 ს.კ. 01.15.02.040.013 -ის ზაზა ტყეშელაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში ასაშენებელი **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მომიჯნავე შენობებზე** , უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა ქვაბულის ჩაჭრა არ ხდება, – შენობის საძირკველი არის საძირკვლის ფილა სისქით 50სმ. საძირკველში გამოყენებული ბეტონის კლასია B-25(სილფატმდგრადის W6) გამოყენებული არმატურის კლასი გრძივ და განივ მიმართულებაზე A500C. და

შენობის მოსულ მთელ დატვირთვას გადასცემს ძირითად გრუნტს(რაც გამორიცხავს მომიჯნავე შენობებზე დამატებითი ძაბვების განვითარებას ) საპროექტო შენობის როგორც ნულოვანი ციკლის სამუშაოები და შემდგომი სამუშაოები არ მოახდენს მომიჯნავე შენობებზე უარყოფით გავლენას

## დასკვნა

ქალაქი თბილისი, კერესელიძის ქ. №17ს.კ. 01.15.02.040.013 -ის ზაზა ტყეშელაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში ,; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მომიჯნავე საცხოვრებელი შენობა(ს.კ.01.15.02.040.014), (ს.კ.01.15.02.040.011), (ს.კ.01.15.02.040.007), (ს.კ.01.15.02.040.010), (ს.კ.01.15.02.040.002), კერესალიძის ქუჩა სავარაუდო ზეგავლენის კვლევით დადგინდა,

მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური შემადგენლობისაა ქვაბულის ჩაჭრა არ ხდება, შენობის საძირკველი არის საძირკვლის ფილა სისქით 50სმ. შენობის მოსულ მთელ დატვირთვას გადასცემს ძირითად გრუნტს (ნორმის მიხედვით გამორიცხავს მომიჯნავე შენობებზე დამატებითი ძაბვების განვითარებას ) საპროექტო შენობის როგორც ნულოვანი ციკლის სამუშაოები და შემდგომი სამუშაოები არ მოახდენს მომიჯნავე შენობებზე უარყოფით გავლენას

ინსპექტირების ანგარიში შეადგინეს:

***ინსპექტორი:*** /დ.ტაბატაძე/